



იუსტიციის  
უმაღლესი სკოლა

## ვაკანსია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მთავარი კონსულტანტის პოზიციაზე

- **თანამდებობის დასახელება:** საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მთავარი კონსულტანტი
- **დამსაქმებელი:** სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა
- **კატეგორია:** საზოგადოებასთან ურთიერთობა და მარკეტინგი
- **განცხადების წარდგენის ბოლო ვადა:** 20.04.2014
- **თანამდებობრივი სარგო:** 1400 ლარი
- **ადგილების რაოდენობა:** 1
- **სამსახურის ადგილმდებარეობა:** თბილისი
- **სამუშაოს ტიპი:** სრული განაკვეთი
- **გამოსაცდელი ვადა:** სამ თვიანი გამოსაცდელი ვადით

სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა გამოცდილ პროფესიონალებს სთავაზობს დასაქმებას საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მთავარი კონსულტანტის მიმართულებით.

სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა ახორციელებს მოსამართლედ გასამწესებელ პირთა – იუსტიციის მსმენელთა საწყისი მომზადებას, ასევე მოქმედ მოსამართლეთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. სკოლა ასევე ახორციელებს მოსამართლის თანაშემწეებისა და სასამართლოს სხვა თანამშრომელთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

სკოლა გთავაზობთ გამორჩეული ადამიანებთან ერთად საინტერესო სამუშაოს და ასევე, პერსპექტიულ და ღირსეულ კარიერას.

### სამუშაოს აღწერა

1. სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმის შემუშავება და განხორციელება;
2. მედია საშუალებებთან სკოლის კომუნიკაციის უზრუნველყოფა;
3. სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება;
4. ბრიფინგებისა და პრესკონფერენციების დაგეგმვა და ორგანიზება;
5. მედია მონიტორინგის განხორციელება;
6. სკოლის ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის მართვა;
7. სკოლის მარკეტინგული გეგმის შემუშავება და განხორციელება;
8. სკოლის ბრენდინგის დაგეგმვა და შესაბამისი აქტივობების განხორციელება;
9. თანამდებობრივი ინსტრუქციით (სამუშაო აღწერილობა) გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება.

### კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი
ინტერნეტი	კარგი
Microsoft Office PowerPoint	კარგი
Microsoft Office Outlook	კარგი
Photoshop	კარგი
Corel	კარგი
Draw	კარგი

### ენები

ენა	წერიტი უნარები	მეტყველება
ქართული	ძალიან კარგი	ძალიან კარგი
ინგლისური	ძალიან კარგი	ძალიან კარგი
რუსული	კარგი	კარგი

### დამატებითი მოთხოვნები

- ა) უმაღლესი განათლება მაგისტრის ხარისხით (სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობის ან მარკეტინგის სპეციალობით);
- ბ) სავალდებულოა საზოგადოებასთან ურთიერთობის ან მარკეტინგის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- გ) სავალდებულოა ინგლისური და რუსული ენის სრულყოფილად ცოდნა;
- დ) საოფისე პროგრამების სრულყოფილად ცოდნა;
- ე) პრეზენტაბელურობა;
- ვ) დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
- ზ) სამუშაო პროცესების ეფექტურად მართვის უნარი;
- თ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების უნარი;
- ი) სტრესულ სიტუაციებში მუშაობის უნარი;
- კ) შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის უნარი;
- ლ) ეფექტური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარი;
- მ) დეტალების მიმართ ორიენტირებულობა;
- ნ) კრეატიულობა;
- ო) მოტივირებულობა;
- პ) შრომისმოყვარეობა;
- ჟ) პასუხისმგებლობის მაღალი დონე.

### დამატებითი ინფორმაცია

კონკურსი ტარდება ორ ეტაპად: აპლიკაციების შეფასება/გადარჩევა და გასაუბრება; საჭიროებისამებრ კანდიდატთან შეიძლება ჩატარდეს დამატებითი გასაუბრება.

გასაუბრების ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც დააკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს. გასაუბრებაზე მონაწილეობის მისაღებად დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ საუკეთესო კანდიდატებთან (მათ მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით), განაცხადების წარდგენის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

კანდიდატი რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ ინფორმაციის სანახავად ეწვიეთ ვებგვერდს: [www.hsoj.ge](http://www.hsoj.ge).  
კანდიდატებთან გასაუბრება ჩატარდება ქ. თბილისი, პეკინის ქ.№29, გასაუბრების დროისა და თარიღის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით.